შ.პ.ს. “ ედრი + ”

ვამტკიცებ შ.პ.ს. “ედრი+” დირექტორი

ი. მანწკავა



საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, ლიუბლიანას ქუჩა №74-ში ადმინისტრაციული მართვისა და სასაწყობე დანიშნულების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

თბილისი 2017 წ

დავალების თანახმად საჭიროა შედგეს საექსპერტო დასკვნა, ქ.თბილისი, ლიუბლიანას ქუჩა №74-ში ადმინისტრაციული მართვისა და სასაწყობე დანიშნულების შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი:

1. ქ.თბილისი, ლიუბლიანას ქუჩა №74-ში ადმინისტრაციული მართვისა და სასაწყობე დანიშნულების შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილი;
2. ქ.თბილისი, ლიუბლიანას ქუჩა №74-ში ადმინისტრაციული მართვისა და სასაწყობე დანიშნულების შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
3. ქ.თბილისი, ლიუბლიანას ქუჩა №74-ში ადმინისტრაციული მართვისა და სასაწყობე დანიშნულების შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები.
4. ქ.თბილისი, ლიუბლიანას ქუჩა №74-ში ადმინისტრაციული მართვისა და სასაწყობე დანიშნულების შენობის კომპიუტერული გაანგარიშების შედეგები

პროექტი დამუშავებულია შ.პ.ს. “M სერვისი”-ს მიერ, დირექტორი ლ. არჩვაძე, პროექტის მთ. არქიტიტექტორი გ.ფერაძე

მოცემული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია შესაბამისი არქიტექტურული პროექტის და საქართველოში მოქმედი სათანადო ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე.

ნაგებობა გაანგარიშებულია დატვირთვების შემდეგ ზემოქმდებაზე:

სამშენებლო მოედნის სეისმიურობა - 8 ბალი;

ქარის ნორმატიული დატვირთვა - 85 კგ/მ2;

თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ2.

შენობის მზიდი სივრცითი კონსტრუქციული სისტემა და ფუძე-საძირკვლები გაანგარიშებულია "LIRA SAPR2011" საანგარიშო კომპლექსის გამოყენებით და გაანგარიშებულია სპექტრული მეთოდით..

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით დასაპროექტებელი ნაგებობა გეგმაში რუსული “Г” მოხაზულობისაა ღერძებში მაქსიმალური ზომებით 42,0 X 30,0 მ,

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, სამშენებლო ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში.

ნაგებობის დაფუძნება ხდება ნახევრადმყარ ღია ყავისფერ კენჭების 5%-მდე ჩანართებით, რომლის საანგარიშო მახასიათებლებია:

სიმკვრივე -1,95 კგ/სმ^2

დეფორმაციის მოდული - 50 მპა

შიგა ხახუნის კუთხე - 40^0

პუასონის კოეფიციენტი – 0.27

პირობითი საანგარიშო წინაღობა R0=2,0 კგ/სმ2

საძირკვლებად მიღებულია წერტილოვანი მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლები. საძირკვლების ქვეშ ეწყობა ბეტონის მომზადება კლასით B7,5, სისქით 10 სმ, დატკეპნილი ბალასტი სისქით 20 სმ.

შენობა ერთ სართულიანია, მიწისზედა ნაწილი გადაწყვეტილია ლითონის კარკასში, სვეტები და გადახურვის კონსტრუქციები ლითონის ელემენტებისაგან შედგება. სახურავი და გარე შემომზღუდი კედლები სენდვიჩპანელებისაგან შედგება.

.

პროექტის მიმართ შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც შეთავაზებული იქნა ჩემს მიერ, სრულად გაზიარებულია ავტორის მიერ, რომელიც ასახულია მუშა დოკუმენტაციაში

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ.თბილისი, ლიუბლიანას ქუჩა №74-ში ადმინისტრაციული მართვისა და სასაწყობე დანიშნულების შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით და პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს რომელიც წარმოდგენილია საექსპერტოდ, რეკომენდაცია ეძლევა განხორციელებისათვის.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი თ. გეგეჭკორი
T: 555-41-95-08

ელფოსტა: gegechkori1951@gmail.com